

შპს „კავკასპაკი“

**ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის
და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „კავკასპაკის“ მფლობელებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კავკასპაკის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი დასკვნის საფუძვლის სექციაში მოცემული საკითხების შესაძლო ეფექტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრება საფუძველი

ჩვენ არ დავაკვირდით 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 4,320 ათასი ლარის და 2,305 ათასი ლარის ოდენობის მარაგების დათვლას, შესაბამისად, რადგან მხოლოდ ამ თარიღების შემდეგ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად და ჩვენ არ დავაკვირდით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,843 ათასი ლარის მარაგების დათვლას, რადგან მარაგების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ იყო დასაწყობებული იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ეფექტურად ფიზიკური დათვლა და შემოწმება წარმოების პროცესის შეჩერების გარეშე და მენეჯმენტმა გადაწყვიტა არ შეეჩერებინა საწარმოო პროცესი. ალტერნატიული საშუალებებით ვერ დავრწმუნდით იმ მარაგების რაოდენობაში. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება მარაგებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან, რომლებიც შეადგენენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობას არ განუსაზღვრავს წარმოებული საქონლის თვითღირებულება, რომელიც აღრიცხულია მარაგებში 478 ათასი ლარის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებული და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების სისტემატური განაწილების ჩათვლით, რომელიც წარმოიქმნება მასალების მზა პროდუქტად გარდაქმნისას, თუმცა დაუყოვნებლივ აღიარებდა ხარჯად, რაც წარმოადგენს გადახვევას მსს ფასს-დან. ჩვენ ვერ გადავთვალეთ გადამუშავების დანახარჯები, რადგან არ მოგვაწოდეს გარკვეული ფინანსური და სხვა ინფორმაცია ამ დანახარჯებთან დაკავშირებით. ვინაიდან წარმოებული საქონლის საწყისი ნაშთი, რომელიც აღრიცხულია მარაგებში, მონაწილეობს საქმიანობის შედეგების და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება წლის მოგების, რომელიც მოხსენიებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და წმინდა ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან, რომელიც მოხსენიებულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის რეგულაციურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2 (ბ) შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არის გადაანგარიშებული. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს. როგორც განმარტებულია ჩვენი პირობითი მოსაზრების საფუძვლის სექციაში, ჩვენ არ შეგვეძლო დასკვნის გამოტანა საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება მარაგებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით, და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან, რომლებიც შეადგენენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ გავცანით მმართველობით ანგარიშს და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ვასკენით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, მის ფასს-ის შესაბამისად, და ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი მიდგომის გამოყენება მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებასა და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვასა და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექცის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქმიანობის ფუნქციონირებად საწარმოდ გაგრძელების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

თინათინ დავითაია

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

18 აგვისტო, 2023



ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებასა და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვასა და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქმიანობის ფუნქციონირებად საწარმოდ გაგრძელების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

თინათინ დავითაია

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

18 აგვისტო, 2023


'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 გადაანგარიშებული *	1 იანვარი 2021 გადაანგარიშებული *
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	5,571	4,442	4,417
არამატერიალური აქტივები		1	2	2
ავანსი გრძელვადიანი აქტივებისთვის	13 (გ), 14	147	390	-
გრძელვადიანი აქტივები		5,719	4,834	4,419
მარაგები	15	4,843	4,320	2,305
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,811	2,259	1,448
გაცემული ავანსები	14	192	76	134
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		-	52	24
შეზღუდული ფული	17	-	904	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	300	741	1,285
მიმდინარე აქტივები		8,146	8,352	5,196
სულ აქტივები		13,865	13,186	9,615
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		9,089	7,513	5,950
სულ საკუთარი კაპიტალი	18	9,089	7,513	5,950
ვალდებულებები				
სესხები	20	2,430	2,842	1,918
გადავადებული შემოსავალი	21	234	329	155
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,664	3,171	2,073
სესხები	20	581	614	441
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1,323	1,728	1,057
მიღებული ავანსები		14	5	4
გადავადებული შემოსავალი	21	136	155	90
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		58	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		2,112	2,502	1,592
სულ ვალდებულებები		4,776	5,673	3,665
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,865	13,186	9,615

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების კორექტირების მიზნით. იხილეთ შენიშვნა 2 (ბ).

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021 გადაანგარიშებული *
ამონაგები	5	19,488	17,765
გაყიდვების თვითღირებულება	6	(14,612)	(12,161)
საერთო მოგება		4,876	5,604
სხვა შემოსავალი	7	396	154
აღდგენა/(გაუფასურების ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების	16	265	(14)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,534)	(817)
მიწოდების ხარჯები	9	(620)	(1,539)
სხვა ხარჯები	10	(309)	(173)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		3,074	3,215
წმინდა ფინანსური დანახარჯები	11	(718)	(346)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		2,356	2,869
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(117)	(196)
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		2,239	2,673

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების კორექტირების მიზნით. იხილეთ შენიშვნა 2 (ბ).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 18 აგვისტო:


ამირან ცერცვაძე
დირექტორი


რომა ასისტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

’000 ლარი	შენიშვნა	2022	2021 გადაანგარიშებული *
ამონაგები	5	19,488	17,765
გაყიდვების თვითღირებულება	6	(14,612)	(12,161)
საერთო მოგება		4,876	5,604
სხვა შემოსავალი	7	396	154
აღდგენა/(გაუფასურების ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების	16	265	(14)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,534)	(817)
მიწოდების ხარჯები	9	(620)	(1,539)
სხვა ხარჯები	10	(309)	(173)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		3,074	3,215
წმინდა ფინანსური დანახარჯები	11	(718)	(346)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,356	2,869
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(117)	(196)
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		2,239	2,673

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების კორექტირების მიზნით. იხილეთ შენიშვნა 2 (ბ).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 18 აგვისტო:

ამირან ცერცვაძე
დირექტორი

რომა ასისტუშვილი
მთავარი ბუღალტერი

’000 ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოგება, თავდაპირველად წარდგენილი		-	6,001	6,001
შეცდომების კორექტირების გავლენა		-	(51)	(51)
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოგება, გადაანგარიშებული		-	5,950	5,950
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი				
წლის მოგება, გადაანგარიშებული		-	2,673	2,673
ტრანზაქციები კომპანიის მფლობელებთან განაწილებები				
დივიდენდები	18 (ბ)	-	(1,110)	(1,110)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაანგარიშებული		-	7,513	7,513
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		-	7,513	7,513
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი				
წლის მოგება		-	2,239	2,239
ტრანზაქციები კომპანიის მფლობელებთან განაწილებები				
დივიდენდები	18 (ბ)	-	(663)	(663)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	9,089	9,089

* შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია შეცდომების კორექტირების მიზნით. იხილეთ შენიშვნა 2 (ბ).

’000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		2,239	2,673
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	13	680	623
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღდგენა/(გაუფასურება)	16	(265)	14
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	10	4	1
წმინდა ფინანსური დანახარჯები	11	718	346
მოგების გადასახადის ხარჯი	12	117	196
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრებიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		3,493	3,853
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		(523)	(2,015)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(511)	(876)
გაცემული ავანსები მიმდინარე აქტივებისთვის		(116)	58
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(388)	662
მიღებული ავანსები		9	1
გადავადებული შემოსავალი, მათ შორის სახელმწიფო გრანტები		(154)	(106)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		110	(28)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადამდე და გადახდილ პროცენტამდე		1,920	1,549
გადახდილი მოგების გადასახადი		(117)	(196)
გადახდილი პროცენტი		(334)	(158)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,469	1,195
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები		12	9
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,824)	(658)
ცვლილება ავანსებში გრძელვადიანი აქტივებისთვის		243	(390)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,569)	(1,039)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან		1,710	1,879
სესხების დაფარვა		(2,085)	(392)
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(184)	(163)
გადახდილი დივიდენდები		(663)	(1,110)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(1,222)	214
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(1,322)	370
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		1,645	1,285
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(23)	(10)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	17	300	1,645

შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. სამუშაო და წარმდგენი ვალუტა	13
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	13
5. ამონაგები	14
6. გაყიდვების თვითღირებულება	14
7. სხვა შემოსავალი	15
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. მიწოდების ხარჯები	16
10. სხვა ხარჯები	16
11. წმინდა ფინანსური დანახარჯები	16
12. მოგების გადასახადის ხარჯი	16
13. ძირითადი საშუალებები	17
14. გაცემული ავანსები	18
15. მარაგები	18
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
17. ფული და ფულის ეკვივალენტები და შეზღუდული ფული	19
18. საკუთარი კაპიტალი	20
19. კაპიტალის მართვა	20
20. სესხები	20
21. გადავადებული შემოსავალი	22
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
23. პირობითი ვალდებულებები	22
24. გაუთვალისწინებელი გარემოებები	23
25. დაკავშირებული მხარეები	24
26. შემდგომი მოვლენები	25
27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	26

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნესგარემო

საქართველოს ბიზნესგარემო

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის სამხედრო კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, საქონელსა და საკვებზე ფასები გაიზარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას მხრივ, ინფლაციაც გავლენას ახდენს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ შედეგებს გლობალური ინდუსტრიისთვის. საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა ზეგავლენა აღნიშნულმა მოვლენებმა და სამომავლო გაურკვევლობი წარმოშვა ეკონომიკაში; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთიწმნა ზრდაა პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „კავკასპაკი“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, როგორც ეს განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. კომპანია 2011 წლის 30 აგვისტოს დარეგისტრირდა. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404919736.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, რუსთავი, დავით გარეჯის ქ. N30.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ერთჯერადი პლასტიკური შეფუთვის წარმოება და გაყიდვა (ძირითადი პროდუქციებია: კვერცხის კონტეინერი, ერთჯერადი ჭიქები და სხვა კონტეინერები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება კვების ინდუსტრიაში) ქალაქ რუსთავში მდებარე ქარხანაში და ძირითადად პლასტიკური ჩანგლებისა და კოვზების გადაყიდვა. კომპანიის პროდუქცია იყიდება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (აშშ, კანადა, პანამა, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი და რუსეთი).

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტარიელ მახარაძე, ვახტანგ სოფრომაძე და ამირან ცერცვაძე ფლობენ კომპანიის საკუთარი კაპიტალის წილის 35%, 35% და 30%-ს, შესაბამისად.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების 25-ე შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (მსს ფასს) შესაბამისად.

(ბ) გადაანგარიშებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კომპანიამ გამოავლინა შემდეგი შეცდომები წინა გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

- (ა) 2021 წელს კომპანიამ არასწორად აღრიცხა წარმოებული მარაგების (მზა პროდუქციის) რაოდენობა, რაც იწვევს ერთეულის ღირებულების ნაკლებ შეფასებას. ამ შეცდომამ (რადგან ერთეულები გაიყიდა) გამოიწვია გაყიდვების ღირებულების 137 ათასი ლარით შემცირება და მარაგების ღირებულების 137 ათასი ლარით გადაჭარბება.
- (ბ) 2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიამ გამოტოვა გადასახადების, გარდა მოგების გადასახადის აღიარება, 28 ათასი ლარით და 51 ათასი ლარით, შესაბამისად, რამაც გამოიწვია საგადასახადო აქტივების გადაჭარბება 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
- (გ) 2021 წელს კომპანიამ მოახდინა გარკვეული რეკლასიფიკაცია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ცვლილებები წარმოადგენს სანდო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას.

კომპანიამ დააკორექტირა ეს შეცდომები წინა პერიოდების შესადარისი თანხების გადაანგარიშებით, რომელ პერიოდშიც მოხდა შეცდომები.

შემდეგი გადაანგარიშებები განხორციელდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველად წარდგენილი	გადაანგარიშებები	გადაანგარიშებული	შენიშვნა
მარაგები	4,457	(137)	4,320	ა)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	131	(79)	52	ბ)
მიმდინარე აქტივები	8,568	(216)	8,352	
სულ აქტივები	13,402	(216)	13,186	
გაუნაწილებელი მოგება	7,729	(216)	7,513	ა),ბ)
სულ საკუთარი კაპიტალი	7,729	(216)	7,513	
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლისთვის	თავდაპირველად წარდგენილი	გადაანგარიშებები	გადაანგარიშებული	შენიშვნა
გაყიდვების თვითღირებულება	(12,234)	73	(12,161)	ა),გ)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(767)	(50)	(817)	ბ),გ)
აღდგენა/(გაუფასურების ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების	-	(14)	(14)	გ)
მიწოდების ხარჯები	(1,518)	(21)	(1,539)	გ)
სხვა ხარჯები	(20)	(153)	(173)	გ)
ფინანსური შემოსავალი	45	(45)	-	გ)
ფინანსური დანახარჯები	(391)	45	(346)	გ)
წლის მოგება	2,838	(165)	2,673	

შემდეგი გადაანგარიშებები განხორციელდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	თავდაპირველად წარდგენილი	გადაანგარიშებები	გადაანგარიშებული	შენიშვნა
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	75	(51)	24	ბ)
მიმდინარე აქტივები	5,247	(51)	5,196	
სულ აქტივები	9,666	(51)	9,615	
გაუნაწილებელი მოგება	6,001	(51)	5,950	ბ)
სულ საკუთარი კაპიტალი	6,001	(51)	5,950	

(გ) ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და გააგრძელებს თავის საქმიანობას უახლოეს მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელს განზრახვა აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. გარდა ამისა, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარია, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა და ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნა 16 -ში ანარიცხები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის;

არ არსებობს დაშვებები და შეფასებები გაურკვევლობა, რომლებსაც თან ახლავთ მნიშვნელოვანი რისკი, გამოიწვიონ მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს.

5. ამონაგები

’000 ლარი

ადგილობრივი გაყიდვები:

ამონაგები წარმოებული საქონლიდან

სხვა კონტეინერი

კვერცხის კონტეინერი

ერთჯერადი ჭიქები

ამონაგები საქონლის გადაყიდვიდან

სხვა საქონელი

პლასტმასის საქონელი

სხვა შემოსავალი

მთლიანი ადგილობრივი გაყიდვები

გაყიდვები ექსპორტზე:

ამონაგები წარმოებული საქონლიდან

სხვა კონტეინერი

კვერცხის კონტეინერი

მთლიანი ექსპორტის გაყიდვები

ამონაგები გაწეული მომსახურებიდან

სულ ამონაგები

	2022	2021
	12,210	10,065
	5,963	5,000
	5,544	4,078
	703	987
	260	760
	162	408
	98	352
	44	-
	12,514	10,825
	6,974	6,938
	6,095	5,030
	879	1,908
	6,974	6,938
	-	2
	19,488	17,765

6. გაყიდვების თვითღირებულება

’000 ლარი

წარმოებული საქონლის გაყიდვების თვითღირებულება

სხვა კონტეინერი

კვერცხის კონტეინერი

ერთჯერადი ჭიქები

გაყიდული საქონლის შესყიდვის თვითღირებულება

სხვა საქონელი

პლასტმასის საქონელი

სხვა გაყიდული საქონლის ღირებულება

ჩამოწერილი მარაგები

სულ გაყიდვების თვითღირებულება

	2022	2021
	(14,345)	(11,589)
	(8,727)	(6,503)
	(5,182)	(4,432)
	(436)	(654)
	(191)	(572)
	(116)	(348)
	(75)	(224)
	(35)	-
	(41)	-
	(14,612)	(12,161)

ხარჯები შინაარსის მიხედვით

’000 ლარი

შენიშვნა

ცვლილებები მზა საქონელში

გამოყენებული ნედლეული და სახარჯო მასალები

ჩამოწერილი მარაგები

დასაქმებულთა გასამრჯელოები

ცვეთა

კომუნალური ხარჯები

სულ

13

	2022	2021
	155	38
	(12,061)	(10,003)
	(41)	-
	(1,140)	(802)
	(593)	(559)
	(932)	(835)
	(14,612)	(12,161)

7. სხვა შემოსავალი

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
მიღებული დაფინანსება და გრანტები (ა)		229	-
რეალიზებული გადავადებული საგრანტო შემოსავალი	21	154	105
სხვა		13	49
სულ სხვა შემოსავალი		396	154

ა. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო ორი გრანტი ("გრანტი") ჯამურად 229 ათასი ლარის ოდენობით (ხელშეკრულების ვალუტით: 49 ათასი აშშ დოლარი და 31 ათასი ევრო) „ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისგან“ (შემდგომში „ბენეფიციარი“), პროექტის - "სტრატეგიული ინვესტიციები შეფუთვის მიწოდების ჯაჭვის კომპანიების ზრდისთვის" ფარგლებში. 2022 წლის განმავლობაში, გრანტი სრულად იქნა აღიარებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში, რადგან დაწესებული განსაზღვრული სამომავლო შესასრულებელი პირობები (ძირითადი საშუალებების შეძენა) დაკმაყოფილდა 2022 წელს.

ბანკის გარანტია

კომპანიასა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია ვალდებული იყო წარმოედგინა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია 49 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (მოთხოვნილი გარანტია შემენილია საქართველოს ბანკიდან და წარდგენილია 2022 წლის 5 დეკემბერს).

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(859)	(431)
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები		(198)	(128)
ცვეთა და ამორტიზაცია	13	(65)	(43)
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგებისა		(40)	(28)
მივლინების ხარჯები		(55)	(13)
გაცემული ავანსების ჩამოწერა		(46)	-
კომერციული ხარჯები		(39)	(37)
საწვავის ხარჯები		(35)	(10)
სადაზღვეო ხარჯები		(29)	(29)
საბანკო გადასახადები		(25)	(18)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები, როგორც ამოუღებელი		(24)	-
მანქანის მოვლა და შეკეთების ხარჯები		(22)	(2)
კომუნალური ხარჯები		(21)	(13)
კომუნიკაციის ხარჯები		(17)	(7)
საოფისე ხარჯები		(4)	(1)
სხვა		(55)	(57)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(1,534)	(817)

9. მიწოდების ხარჯები

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(241)	(368)
შემენილი მომსახურება - ტრანსპორტირება და სხვა მომსახურება		(239)	(1,033)
მანქანის მოვლა და შეკეთების ხარჯები		(45)	(31)
საწვავის ხარჯები		(36)	(45)
საოპერაციო იჯარის ხარჯები		(33)	(26)
ცვეთა	13	(22)	(21)
სხვა		(4)	(15)
სულ მიწოდების ხარჯები		(620)	(1,539)

10. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
სარემონტო და ტექნიკური მომსახურება და მოხმარებული სათადარიგო ნაწილები	(239)	(120)
ზარალს გამოკლებული მოგება უცხოური ვალუტით ვაჭრობით	(36)	(16)
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯები	(24)	(11)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(4)	(1)
სხვა	(6)	(25)
სულ სხვა ხარჯები	(309)	(173)

11. წმინდა ფინანსური დანახარჯები

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	25 (ბ)	(123)	(142)
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე		(365)	(134)
უცხოური ვალუტის ცვლილებით წარმოშობილი წმინდა ზარალი		(230)	(70)
წმინდა ფინანსური დანახარჯები აღიარებული მოგებაში ან ზარალში		(718)	(346)

12. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის მოქმედი გადასახადის განაკვეთი არის საშემოსავლო გადასახადის 15%-იანი განაკვეთი ქართული კომპანიებისთვის.

	2022		2021	
	'000 ლარი	100%	'000 ლარი	100%
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი				
განაწილებული დივიდენდი	(663)	85%	(1,110)	85%
მოგების გადასახადი მოქმედი	(117)	15%	(196)	15%
საგადასახადო განაკვეთით				
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	(117)		(196)	

13. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა	შენობა - ნაგებობები	დანადგარები და საწარმოო ხაზი	მანქანები	კომპიუტერები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	201	605	5,007	315	18	22	29	6,197
შესყიდვები	-	-	574	19	12	13	40	658
გადატანები კატეგორიებს შორის	-	7	-	-	-	-	(7)	-
გასვლები	-	-	-	(21)	-	-	-	(21)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	201	612	5,581	313	30	35	62	6,834
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	201	612	5,581	313	30	35	62	6,834
შესყიდვები	151	-	1,491	33	13	5	131	1,824
გადატანები კატეგორიებს შორის	-	155	-	-	30	-	(185)	-
გასვლები	-	-	-	(19)	-	-	-	(19)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	767	7,072	327	73	40	8	8,639
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	91	1,540	127	10	12	-	1,780
ცვეთა წლის განმავლობაში	-	11	573	31	4	4	-	623
გასვლები	-	-	-	(11)	-	-	-	(11)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	102	2,113	147	14	16	-	2,392
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	102	2,113	147	14	16	-	2,392
ცვეთა წლის განმავლობაში	-	28	606	34	7	4	-	679
გასვლები	-	-	-	(3)	-	-	-	(3)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	130	2,719	178	21	20	-	3,068
საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	201	514	3,467	188	8	10	29	4,417
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	201	510	3,468	166	16	19	62	4,442
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	637	4,353	149	52	20	8	5,571

2022 წელს 593 ათასი ლარის, 64 ათასი ლარის და 22 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი შევიდა გაყიდვების თვითღირებულება/მარაგებში, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში და სადისტრიბუციო ხარჯებში, შესაბამისად (2021 წელი: 559 ათასი ლარი, 43 ათასი ლარის და 21 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი შევიდა გაყიდვების თვითღირებულება/მარაგებში, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში და სადისტრიბუციო ხარჯებში, შესაბამისად).

(ა) უზრუნველყოფა

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ერთეულები 243 ათასი ლარის და 246 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, შესაბამისად საბანკო სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს (შენიშვნა 20).

(ბ) იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული დანადგარები და აღჭურვილობა ფინანსური იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით, იჯარით აღებული დანადგარებისა და აღჭურვილობის წმინდა საბალანსო ღირებულება იყო 881 ათასი ლარი და 1,101 ათასი ლარი, შესაბამისად.

(გ) ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვისაა (შენიშვნა 14).

14. გაცემული ავანსები

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებებისთვის გაცემული ავანსები	13 (გ)	147	390
გრძელვადიანი გაცემული ავანსები		147	390
მიმდინარე აქტივები			
საქონლისა და მასალებისთვის გაცემული ავანსები		187	48
სხვა ავანსები		5	19
ავანსები მომსახურებისთვის		-	9
მოკლევადიანი გაცემული ავანსები		192	76
სულ გაცემული ავანსები		339	466

15. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
წარმოებული საქონელი		
სხვა კონტეინერი	551	351
კვერცხის კონტეინერი	158	111
ერთჯერადი ჭიქები	1	16
სულ წარმოებული საქონელი	710	478
საქონელი გადაყიდვისთვის		
სხვა საქონელი	90	170
პლასტმასის საქონელი	32	29
სულ საქონელი გადაყიდვისთვის	122	199
ნედლეული	3,370	2,947
სხვა მასალები	641	696
სულ მარაგები	4,843	4,320

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სხვა სავაჭრო მოთხოვნები		3,086	2,870
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარისგან	25 (ბ)	94	-
სხვა მოთხოვნები		-	23
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,180	2,893
გაუფასურების ანარიცხი		(369)	(634)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2,811	2,259

'000 ლარი	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	მილიანი	გაუფასურება	მილიანი	გაუფასურება
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	-	-	-	-
ვადაგადაცილება 0 - 30 დღე	1,559	(15)	1,911	(18)
ვადაგადაცილება 31 - 60 დღე	822	(16)	325	(7)
ვადაგადაცილება 61 - 90 დღე	244	(12)	40	(2)
ვადაგადაცილება 91 - 120 დღე	219	(22)	1	-
ვადაგადაცილება 121 - 150 დღე	22	(3)	5	(1)
ვადაგადაცილება 151 - 180 დღე	7	(2)	7	(2)
ვადაგადაცილება 181 - 210 დღე	12	(6)	-	-
ვადაგადაცილება 211 - 240 დღე	1	(1)	-	-
ვადაგადაცილება 241 - 270 დღე	3	(2)	-	-
ვადაგადაცილება 271 - 300 დღე	-	-	-	-
ვადაგადაცილება 301 - 330 დღე	9	(8)	-	-
ვადაგადაცილება 331 - 365 დღე	-	-	4	(4)
ერთ წელზე მეტი	282	(282)	600	(600)
	3,180	(369)	2,893	(634)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის ანირიცხის მოძრაობა

'000 ლარი	2022	2021
გაუფასურების ანარიცხი წლის დასაწყისში	(634)	(620)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(54)	(42)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა	319	28
გაუფასურების ანარიცხი წლის ბოლოს	(369)	(634)

17. ფული და ფულის ეკვივალენტები და შეზღუდული ფული

'000 ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში	300	741
შეზღუდული ფული*	-	904
ფული და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	300	1,645

*2021 წლის 31 დეკემბერს საბანკო ბალანსი 904 ათასი ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბერი - ნული) არის შეზღუდული გამოყენების უფლებით საქართველოს ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად. ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში განსხვავდება ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეზღუდული ფულით, რომელიც შეადგენდა 904 ათას ლარს წლის ბოლოს (შენიშვნა 24 (დ)).

18. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა ნულს.

(ბ) დივიდენდები

კომპანიის მფლობელები უფლებამოსილი არიან დივიდენდების მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა გაუნაწილებელი მოგება 9,089 ათასი ლარი და 7,513 ათასი ლარი, შესაბამისად.

2022 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 663 ათასი ლარის ოდენობით (2021 წლის განმავლობაში: 1,110 ათასი ლარი). კომპანიამ გადაიხადა მოგების გადასახადი 117 ათასი ლარი და 196 ათასი ლარი, რომელიც აღიარებული იყო „მოგების გადასახადის ხარჯად“ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლებისთვის, შესაბამისად (შენიშვნა 25 (ა)).

19. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის ოპერაციული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ამის მიღწევა ხდება ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით. ამ ზომების განხორციელებით კომპანია მიზნად ისახავს მოგების სტაბილურ ზრდას.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაში ცვლილებები არ მომხდარა. კომპანიას არ აქვს გარე კაპიტალის მოთხოვნები.

20. სესხები

წინამდებარე შენიშვნა შეიცავს ინფორმაციას კომპანიის პროცენტური სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომელიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

’000 ლარი

გრძელვადიანი ვალდებულებები

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები
საიჯარო ვალდებულება

31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1,658	1,865
772	977
2,430	2,842

მიმდინარე ვალდებულებები

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები
საიჯარო ვალდებულება

377	431
204	183
581	614

(ა) ვადები და ვალის დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების პირობები შემდეგი იყო:

’000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	11.1%	17 ივნისი 2023	93	91	353	328
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	11.5%	17 დეკემბერი 2026	469	387	556	430
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	13.5%	05 ნოემბერი 2025	432	369	547	442
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	13.5%	06 ნოემბერი 2028	1,200	1,018	1,325	1,096
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	13.5%	07 დეკემბერი 2026	210	170	-	-
საიჯარო ვალდებულება	ლარი	12.0%	31 დეკემბერი 2026	976	976	1,160	1,160
				3,380	3,011	3,941	3,456

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა უზრუნველყოფილი საბანკო სესხისთვის საპროცენტო ხარჯის ნაწილი თანადაფინანსებულია საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის ფარგლებში „შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ (შენიშვნა 21).

*კომპანიას აქვს გამოუყენებელი კრედიტის მოცულობა ხელშეკრულებიდან საქართველოს ბანკთან 53 ათასი ლარი და 53 ათასი ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

(ბ) ფინანსური იჯარის ვალდებულება

’000 ლარი	2022		
	მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები	პროცენტი	მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება
1 წლამდე	305	101	204
1-5 წელი	915	143	772
	1,220	244	976

’000 ლარი	2021		
	მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები	პროცენტი	მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება
1 წლამდე	307	123	184
1-5 წელი	1,220	244	976
	1,527	367	1,160

21. გადავადებული შემოსავალი

’000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		484	245
აღიარებული გადავადებული სახელმწიფო საგრანტო შემოსავალი (ა)		40	345
გადავადებული სახელმწიფო საგრანტო შემოსავლის რეალიზებული ნაწილი	7	(154)	(106)
ნაშთი წლის ბოლოს		370	484

ა. „საქართველოს ბანკიდან“ პროექტის - „შეღვათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ ფარგლებში, მიღებული სესხებიდან სარგებელი რომელიც კლასიფიცირდება როგორც სახელმწიფო გრანტი 2022 და 2021 წლებში შეადგენდა 40 ათას ლარს და 345 ათას ლარს, შესაბამისად, და ფასდება, როგორც სხვაობა თავდაპირველ აღიარებისას სესხის სამართლიან ღირებულებასა და მიღებულ თანხას შორის, აღირიცხება გრანტის შინაარსის მიხედვით და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებული შემოსავლის მუხლის ქვეშ. სახელმწიფო გრანტები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა შემოსავალი იმ პერიოდის განმავლობაში რაც აუცილებელია, რათა შესაბამისობაში იყოს იმ ხარჯებთან, რომელთა კომპენსირებისთვისაცაა განზრახული.

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სხვა სავაჭრო ვალდებულებები		692	752
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი სავაჭრო ვალდებულებები	25 (ბ)	628	956
გადასახდელი ხელფასი		3	20
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,323	1,728

23. პირობითი ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გადაუხდელი სახელშეკრულებო ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შესაძენად, 23 ათასი ევრო (ლარის ექვივალენტი: 66 ათასი) და 286 ათასი აშშ დოლარი (ლარის ექვივალენტი: 886 ათასი), შესაბამისად.

24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

(ა) დაზღვევა

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია განვითარებად მდგომარეობაშია და დაზღვევის უამრავი ფორმა, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს სხვა ნაწილებში, ჯერ კიდევ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს მისი ქარხნის ობიექტების, საქმიანობის შეწყვეტის ან კომპანიის ქონებაზე ან მასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან წარმოშობილი ქონების ან გარემოს დაზიანებისთვის მესამე მხარეთა წინაშე პასუხისმგებლობის სრული სადაზღვევო დაფარვა, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის ან კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებით. ვიდრე კომპანია არ მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სამართლებრივი პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(გ) საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი ღია შეიძლება დარჩეს უფრო დიდხანს.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ მათი პოზიციის წარმატებულად გატარების შემთხვევაში შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(დ) სესხის გარანტიები

გარანტიები არის შეუქცევადი გარანტიები, რომ კომპანია განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ შპს „აგროპლასტი“ და შპს „ფი ემ ჯი“ ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. კომპანიას გარანტია აქვს გაცემული შემდეგი ვალდებულებებისათვის (ათასებში):

ბენეფიციარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
'000 ლარი		
საქართველოს ბანკის სასარგებლოდ:		
შპს აგროპლასტი (დაკავშირებული მხარე)	1,078	1,465
შპს ფი ემ ჯი (დაკავშირებული მხარე)	35	59

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს შემდეგი აქტივები ჩადებული გირავნობის სახით:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
	დაგირავებული აქტივი	დაგირავებული აქტივი
შეზღუდული ფული (შენიშვნა 17)	-	904
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 13)	243	246

კომპანია ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელია თანამსესხებლობის ვალდებულებაზე (შენიშვნა 25 (ბ)).

25. დაკავშირებული მხარეები

(ა) წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ პერიოდების განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში შედის (შენიშვნა 8):

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები	86	70
სხვა სარგებელი	51	10
	137	80

(ბ) სხვა დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	
	2022	2021
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		
სხვა დაკავშირებული მხარე	80	199
საქონლისა და მომსახურების შეძენა		
სხვა დაკავშირებული მხარე	360	1,050
იჯარები		
სხვა დაკავშირებული მხარე*	123	142
	563	1,391

'000 ლარი	შენიშვნა	დაუფარავი ნაშთი	
		31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
სხვა დაკავშირებული მხარე	16	94	-
საქონლისა და მომსახურების შეძენა:			
სხვა დაკავშირებული მხარე	22	628	956
იჯარა			
სხვა დაკავშირებული მხარე*		976	1,160
		1,698	2,116

*სხვა დაკავშირებული მხარისგან იჯარაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2022 და 2021 წლებში იყო 123 ათასი ლარი და 142 ათასი ლარი, შესაბამისად.

2022 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 663 ათასი ლარის ოდენობით (2021 წლის განმავლობაში: 1,110 ათასი ლარი) (შენიშვნა 18 (ბ)).

კომპანია სოლიდარულად არის პასუხისმგებელი თანასესხების ვალდებულებებზე:

2012 წლის 4 აპრილს კომპანიამ ხელი მოაწერა გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებას საქართველოს ბანკთან, რომელიც შემდგომ განახლდა 2014 წლის 24 ოქტომბერს და ორი დაკავშირებული მხარე - შპს „აგროპლასტი“ და შპს „ფი ემ ჯი“ გახდა იმავე გენერალური საკრედიტო ხაზის მხარე, საკრედიტო ლიმიტით - 10,000 ათასი ლარი. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია, შპს „აგროპლასტი“ და შპს „ფი ემ ჯი“ გახდნენ გენერალური საკრედიტო ხაზის თანამსესხებლები. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელია თანამსესხებლობის ვალდებულებაზე, ვალდებულების ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია რომ დაიფარება შპს „აგროპლასტი“-სა და შპს „ფი ემ ჯი“-ს მიერ, განიხილება როგორც პირობითი ვალდებულება. გენერალური საკრედიტო ხაზის ქვეშ კომპანიამ, შპს „აგროპლასტი“-მა და შპს „ფი ემ ჯი“-მ მიიღეს სესხები 1,970 ათასი ლარის, 1,680 ათასი ლარისა და 75 ათასი ლარის ოდენობით ჯამურად, რომელთა ნომინალური ღირებულება ჯამურად 2022 წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,383 ათას ლარს და 2,046 ათას ლარს, შესაბამისად.

2021 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ბანკთან გენერალურ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი კომპანიისა და შპს „აგროპლასტი“-ს მიერ, საკრედიტო ლიმიტით 10,000 ათასი ლარი. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია და შპს „აგროპლასტი“ გახდნენ გენერალური საკრედიტო ხაზის თანამსესხებლები. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელია თანამსესხებლობის ვალდებულებაზე, ვალდებულების ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია რომ დაიფარება შპს „აგროპლასტი“-ს მიერ, განიხილება როგორც პირობითი ვალდებულება. ამ გენერალური საკრედიტო ხაზის ქვეშ, კომპანიამ და შპს „ფი ემ ჯი“-მ მიიღეს სესხები 3,590 ათასი ლარისა და 394 ათასი ლარის ოდენობით ჯამურად, რომელთა ნომინალური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 2,134 ათას ლარს და 2,258 ათას ლარს, შესაბამისად.

26. შემდგომი მოვლენები

(ა) მიღებული სესხები

2023 წლის თებერვალში, აპრილში და ივლისში, საანგარიშო პერიოდის შემდეგ, კომპანიამ გამოაცხადა და მფლობელებს გადაუხადა 253 ათასი ლარის, 474 ათასი ლარის და 221 ათასი ლარის, ოდენობის დივიდენდები, შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ კომპანიამ მიიღო ორი სესხი სს „საქართველოს ბანკიდან“ 125 ათასი ლარის და 95 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სესხების ძირის და საპროცენტო გადახდამ შეადგინა, 342 ათასი ლარი და 65 ათასი ლარი, შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები კომპანიის მიერ თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ქვემოთ მოყვანილია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ინდექსები, რომლის დეტალები ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდებზე:

(ა) ამონაგები	26
(ბ) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	26
(გ) უცხოური ვალუტა	27
(დ) დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	27
(ე) მოგების გადასახადი	27
(ვ) ძირითადი საშუალებები	29
(ზ) მარაგები	30
(თ) ფინანსური ინსტრუმენტები	30
(ი) სხვა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება	33
(კ) გადახდილი ავანსები	33
(ლ) გაუფასურება	33
(მ) იჯარა	35
(ნ) ანარიცხები	35

(ა) ამონაგები

გაყიდული საქონელი

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება, როგორც წესი, გაფორმებული გაყიდვის ხელშეკრულების სახით, რომ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაეცა მომხმარებელს, სავარაუდოა ანაზღაურების მიღება, დაკავშირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო დაბრუნება შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, ხელმძღვანელობა საქონელთან მართვაში ჩართული არ არის და შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დაბრუნების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და მოცულობისთვის ფასდაკლების გამოკლებით.

რისკებისა და სარგებელის გადაცემის დრო განსხვავდება გაყიდვის ხელშეკრულების ინდივიდუალური პირობების მიხედვით. ადგილობრივი გაყიდვებისთვის, გადაცემა ჩვეულებრივ ხდება, როდესაც პროდუქტი იგზავნება საწყობიდან; თუმცა, ზოგიერთი საერთაშორისო გადაზიდვისთვის გადაცემა ძირითადად ხდება მომხმარებლის პორტში შესაბამის გადამზიდავზე საქონლის ჩატვირთვისას. ზოგადად, ასეთი პროდუქტებისთვის მყიდველს არ აქვს დაბრუნების უფლება.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯი და ფინანსური იჯარა;
- უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო სამომავლო ფულადი გადახდების ან შემოსულობების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში:

- ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯი გამომდინარე იქედან არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები გამოიყენებოდა წლის განმავლობაში:

’000 ლარი	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის	
	2022	2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ევრო	3.0792	3.8140	2.8844	3.5040
აშშ დოლარი	2.9156	3.2209	2.702	3.0976

(დ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურება, შენატანები საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდში, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის შვებულება, პრემიები და არაფინანსური შეღავათები (როგორიცაა ჯანდაცვის სერვისები) ერიცხება იმ წელს, როდესაც შესაბამისი მომსახურებები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

(ე) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან (არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ოპერაციები გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირებთან) ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებსა და დადგენილ ნორმას გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის, თუ ეს შემოსავალი ნაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

ფიზიკურ ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან ღირებულებაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე).

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ოპერაციებზე, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებსა და წარმომადგენლობით ხარჯებს დაშვებულ ფარგლებს მიღმა. კომპანია ითვალისწინებს, რომ ამგვარი ოპერაციების დაბეგვრა არ არის მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების მოგების გადასახადის მოთხოვნების შესაბამისი და საშემოსავლო გადასახადებს და საგადასახადო ანგარიშებს ასეთი შემთხვევებისთვის აღრიცხავს, როგორც სხვა გადასახადებს გარდა მოგებისა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებას და, შესაბამისად, არ წარმოიშვება არანაირი გადავადებული მოგების გადასახადი.

(ვ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, მიწის გარდა, ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადებისა და შესყიდვის არაანაზღაურებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდაკლებებისა და დათმობის გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოყვანას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებული წესით; (გ) ნივთის დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯებს და იმ ადგილის აღდგენის ხარჯებს, სადაც ის მდებარეობს, და (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია იღებს ნივთის შეძენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ნივთის გამოყენების შედეგად სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოებისთვის.

(ii) ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით, ძირითადი საშუალებების თითოეული შემადგენელი ნაწილის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან ის განსაკუთრებით დეტალურად ასახავს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ მოხმარების ნიმუშს, რომელიც აქტივშია განივთებული.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდისთვის შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	20-35 წელი;
– დანადგარები და საწარმოო ხაზი	5-15 წელი;
– მანქანები	5-10 წელი;
– კომპიუტერები და მოწყობილობები	3-10 წელი;
– საოფისე აღჭურვილობა	2-15 წელი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადახედება ყოველი ანგარიშგების თარიღზე და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ძირითადი საშუალებების გაყიდვის ან გასხვისების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ზრდის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც განივთებულია კონკრეტულ აქტივში, რომელსაც ის მიეკუთვნება. ყველა სხვა დანახარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

(ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე. წმინდა რეალიზებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც გაყიდვის სავარაუდო ფასს, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების პირობები

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ რეგულარულად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ფასების შესახებ.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციის მეთოდი ან ინვესტიციის მონაწილეთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მათი დონის მიხედვით (i) პირველი დონის გაზომვები არის შეფასებები აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ (დაუკორექტირებელი) ფასებად იდენტიური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის გაზომვები არის შეფასების მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირი (როგორც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებისგან წარმოებული), და (iii) მესამე დონის გაზომვები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ, გაზომვა მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებად მონაცემებს).

*გარიგების დანახარჯები*ა წმინდა დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, გამოშვებასთან ან გაყიდვასთან. წმინდა დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ საწარმო არ შეიძენდა, არ გამოუშვებდა ან არ გაყიდდა ფინანსურ ინსტრუმენტს.

ამორტიზირებული ღირებულება (“AC”) წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, მინუს ძირითადი თანხის გადახდები, პლუს დარიცხული პროცენტები, და ფინანსური აქტივებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალით ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი დანაკარგი (პირდაპირ ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

დარიცხული პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების და ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ხარჯი დაგროვილი კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტისა ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის

შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი განცალკევებულად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(i) თავდაპირველი აღიარება

ძირითადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება.

სასესხო ინსტრუმენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, ფასდება ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული ოდენობით, რომელზეც მოლოდინია, რომ მოხდება გადახდა ან მიღება (ანუ გაუფასურების გარეშე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება, ფაქტობრივად, წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას, კომპანია ზომავს სავალო ინსტრუმენტს მომავალი გადახდების ამჟამინდელი ღირებულებით, დისკონტირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

(iii) ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანიამ ამოწურა აღდგენის ყველა პრაქტიკული ძალისხმევა და არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ აქტივი ანაზღაურდება. ჩამოწერა ისეთი მოვლენაა, რომელიც იწვევს აღიარების შეწყვეტას.

(iv) ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსურ აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადო სპეციალური ტრანზიტული შეთანხმება, რომლის თანახმად (i) კომპანიამ გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) კომპანიას არ

გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, გარდა მათზე კონტროლის უფლებისა. კონტროლის უფლება ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა სრულად მიყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

(v) ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანიამ ფინანსური ვალდებულებების აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეწყვიტოს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. საწარმომ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს დაფარული ან სხვა მხარისათვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის სხვაობა.

(vi) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა განხორციელდება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წმინდა თანხა აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის იურიდიულად განსაზღვრული უფლება, და არსებობს განზრახვა, რომ ჩათვლა განხორციელდეს ნეტო-საფუძველზე, ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ შემთხვევაზე და (ბ) და უნდა იყოს იურიდიულად ქმედუნარიანი ყველა შემდეგ შემთხვევაში: (i) საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(vii) დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ერთ-ერთ წამყვან ქართულ ბანკში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი ფასდება ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე. კომპანია რეზერვების შესაფასებლად კოლექტიური შეფასების მიდგომას იყენებს, რადგან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების პორტფელი რიგი კლიენტებისგან შედგება, რომლებსაც საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლები აქვთ. კომპანია ახორციელებს მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დაჯგუფებით მათი მახასიათებლების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები დარიცხულია მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ი) სხვა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებადი ღირებულების ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

(კ) გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ავანსები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების შეძენის მოსალოდნელი ვადა დადგება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც აღნიშნული ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდების თანხები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. სხვა სახის წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როდესაც მიიღება ასეთ გადახდებთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, შესაბამისად ჩამოიწერება წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

(ლ) გაუფასურება

(i) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, რომლებიც განსხვავდება მარაგებისგან, საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომელთა ტესტირება შეუძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიწებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდიწებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე

(გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრებისთვის წარმოქმნილი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯგუფში) შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრებაში გამყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(ii) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორცაა ვალდებულების შეუსრულებლობა, პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობა; ან
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნები ამოუღებელია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება. ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც

შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

(მ) იჯარა

(i) იმის განსაზღვრა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

შეთანხმების გაფორმებისას კომპანია განსაზღვრავს, არის თუ არა ასეთი შეთანხმება იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის გამოყენებაზე და შეთანხმება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას.

შეთანხმების დაწყებისას ან ხელახალი შეფასებისას, კომპანია განასხვავებს გადახდებს და სხვა ანაზღაურებას, რომელიც მოითხოვება ასეთი შეთანხმებით, იჯარის და სხვა ელემენტებისგან მათი შედარებითი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. თუ კომპანია ფინანსური იჯარისთვის ასკვნის, რომ შეუძლებელია გადახდების საიმედოდ გამიჯვნა, მაშინ აქტივი და ვალდებულება აღიარდება ძირითადი აქტივის რეალური ღირებულების ოდენობით. შემდგომში ვალდებულება მცირდება გადახდების განხორციელებისას და ვალდებულებაზე დარიცხული ფინანსური გადასახადი აღიარდება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(ii) იჯარით აღებული აქტივები

კომპანიის მიერ იჯარით აღებული აქტივები, რომლითაც კომპანიას გადაეცემა საკუთრების არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. თავდაპირველი აღიარებისას იჯარით აღებული აქტივი ფასდება მისი სამართლიანი ღირებულების და მინიმალური საიჯარო გადასახდელების ამჟამინდელი ღირებულებას შორის უმცირესით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი აღირიცხება ამ აქტივზე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

სხვა იჯარა არის საოპერაციო იჯარა და იჯარით აღებული აქტივები არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(iii) იჯარის გადასახადები

საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში. მიღებული საიჯარო შეღავათები აღიარებულია, როგორც მთლიანი იჯარის ხარჯის განუყოფელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ფარგლებში განხორციელებული მინიმალური საიჯარო გადახდები ნაწილდება ფინანსურ ხარჯსა და გადაუხდელი ვალდებულების შემცირებას შორის. ფინანსური ხარჯი ნაწილდება თითოეულ პერიოდზე იჯარის ვადის განმავლობაში ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე.

(ნ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ანარიცხი გამოითვლება მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახსიათებელ შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

შპს „კავკასპაკი“

მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.	ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ	3
2.	კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	3
3.	ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
4.	კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	4
5.	აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
6.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	5
7.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს კავკასპაკი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 28 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, დ. გარეჯის #30-ში, რომელიც ასევე მის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკვები და აგრო პროდუქტებისთვის შესაფუთი ტარის წარმოება და მიწოდება/რეალიზაცია. კომპანია პროდუქტის რეალიზაციას ახდენს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტარიელ მახარაძე, ვახტანგ სოფრომაძე და ამირან ცერცვაძე ფლობენ კომპანიის წილის 35%, 35% და 30%-ს, შესაბამისად.

კომპანიის შიდა პროცესებზე დაყრდნობით ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა ოპტიმიზირებულია და შედგება შემდეგი დეპარტამენტებისაგან:

- საოპერაციო;
- კომერციული;
- კადრების;
- ხარისხის;
- ფინანსური;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების;

დეპარტამენტები ექვემდებარებიან კომპანიის გენერალურ დირექტორს.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს საექსპორტო შემოსავლების ზრდა. აღნიშნული დადებით ზეგავლენას მოახდენს კომპანიის საერთო შემოსავლების ზრდაზე და ამასთანვე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, გარემო ფაქტორებიდან გამოწვეული, სავალუტო რისკების ეფექტურად მართვაში.

უკვე მრავალი წელია, კომპანია ანხორციელებს წარმოებული პროდუქტების ექსპორტს როგორც მეზობელ ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, კანადასა და პანამაში. საქართველოს მხრიდან ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, კომპანიას დამატებით შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ნაწარმის ექსპორტი მოახდინოს ევროპის ბაზრებზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კომპანიას გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა სხვა და სხვა მიიღოს საერთაშორისო გამოფენებში, სადაც შეძლებს საკუთარი პროდუქტის და შესაძლებლობების დემონსტრირებას პოტენციურ პარტნიორებთან.

2022 წლის სექტემბერში, კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, ქ. ნიურბერგში ჩატარებული საერთაშორისო გამოფენა FACHPACK-ში, რა დროსაც კომერციული მოლაპარაკებები აწარმოა მრავალ საერთაშორისო პარტნიორთან და დაიგეგმა შემდგომი ღონისძიებები. ამავდროულად, კომპანიას 2023 წლისთვის დაგეგმილი აქვს მონაწილეობა მიიღოს, გერმანიაში ქ. დიუსელდორფში, გლობალურ გამოფენაში INTERPACK, რაც დამატებით შესაძლებლობებს მოუტანს საერთაშორისო ასპარეზზე.

ფინანსური საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვის, შიდა კონტროლისთვის და საოპერაციო ეფექტურობის გაზრდის მიზნით, კომპანიამ 2022 წელს დაწერა ERP პროგრამა, ბალანსი. აღნიშნული სისტემა კომპანიას დაეხმარება ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების ავტომატიზაციასა და ეფექტურ კონტროლში.

კომპანიის ბიზნესის განვითარების გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საწარმოო და ბიზნეს პროცესების, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობით მართვა. რის უზრუნველყოფადაც კომპანია ფრლობს და ყოველწლიური აუდიტის საფუძველზე ანახლებს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს - **BRC**-ს. ამავდროულად, 2022 წელს, კომპანიამ მოიპოვა USAID გრანტი, რის ფარგლებშიც 2022 და 2023 წელს მოხდება ორგანიზაციაში, როგორც BRC სერტიფიკატის განახლება, ასევე დამატებითი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. კერძოდ, **ISO 45001** (შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების) და **ISO 14001** (გარემოს დაცვითი) მენეჯმენტის სისტემებს.

აღნიშნული სტანდარტების და სისტემების მაღალი ხარისხით დანერგვა, კომპანიას მოუტანს მრავალხმრივ სარგებელს და შესაძლებლობებს, როგორც მიკრო ასევე მარკო დონეზე.

იმისათვის, რომ კომპანიამ წარმატებით უზრუნველყოს არსებული და ახალი საქესპორტო ბაზრებიდან გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, კომპანიამ 2022 წელს განახორციელა ინვესტიციები წარმოების გაფართოვების მიმართულებით. კერძოდ, პროგრამა აწარმოე საქართველოს ფარგლებში და კომპანიის სახსრებით შეძენილ იქნა ახალი საწარმოო ხაზი და მიწის ნაკვეთი, დაახლოებით ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 1 600 ათასი ლარი.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს იურიდიული ფილიალები.

4. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

5. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2022 წლის საოპერაციო საქმიანობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

	2022	2021
EBITDA მარჟა	19%	22%
საერთო მოგების მარჟა	25%	32%
წმინდა მოგების მარჟა	11%	15%
მიმდინარე კოეფიციენტი	3,86	3,34
სწრაფი კოეფიციენტი	1,56	1,61

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია აქტიურად მუშაობს დასაქმების, ადამიანების უფლებებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რისი ნათელი მაგალითიცაა, კომპანიის გადაწყვეტილება ორგანიზაციაში დანერგოს და შესაბამისობაში მოიყვანოს იგი სართაშორისო სტანდარტების სისტემებთან - **ISO 45001** და **ISO 14001**. აღნიშნული სტანდარტების დანერგვით და სერტიფიცირებით, უფრო მეტად განამტკიცებს კომპანიაში უკვე დამკვიდრებულ პოლიტიკას, ადამიანების სოციალური და დასაქმების, შრომითი უფლებების და გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკები იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.


კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები. რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაზოგებს. ამ რისკების სამართავად კომპანია იყენებს, როგორც შიდა დაქირავებულ რესურსს, ისე დაქირავებული ჰყავს გარე კონსულტანტები და მათთან ერთად ხდება მოსალოდნელი რისკების შეფასება და გათვალისწინება.

ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან ძირითადი მომწოდებლები საერთაშორისო ქვეყნების წარმომადგენლები არიან. მათთან სამუშაო ვალუტას წარმოადგენს აშშ დოლარი და ევრო, ასევე კომპანიის ექსპორტით რეალიზაციებიც დომინირებულია აშშ დოლარში. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. 2022 წელს, კოვიდ

პანდემიიდან გამომდინარე, ნედლეულის და ტრანსპორტირების ფასების ზრდის ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე. აღნიშნულს თან ერთვოდა ლარის კურსის მკვეთრი გაუარესება, რაც თავის მხრივ პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის თვითღირებულებაზე, რადგან ნედლეულის ძირითადი ნაწილი იმპორტირებულია სართაშორისო ბაზრებიდან. ნედლეულთან ერთად, კომპანია ძირითადი საშუალებებსა და სხვადასხვა ტექნიკურ სახარჯ მასალის შესყიდვას ახდენს უცხოელი მომწოდებლებისგან, რაზეც ასევე გაიზარდა ფასები შესაბამის ვალუტაში. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა, მაგალითად, ვალუტის კურსის დაზღვევა.

ლიკვიდურობის რისკი - არის ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულების რისკი. მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს ლიკვიდურობის რისკის მართვას სხვადასხვა ინსტრუმენტებით, მაგალითად რამოდენიმე სცენარით ბიუჯეტირებით, მათ შორის კრიზისული სცენარებით.



ამირან ცერცვაძე

დირექტორი

18 აგვისტო, 2023

პანდემიიდან გამომდინარე, ნედლეულის და ტრანსპორტირების ფასების ზრდის ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე. აღნიშნულს თან ერთვოდა ლარის კურსის მკვეთრი გაუარესება, რაც თავის მხრივ პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის თვითღირებულებაზე, რადგან ნედლეულის ძირითადი ნაწილი იმპორტირებულია სართაშორისო ბაზრებიდან. ნედლეულთან ერთად, კომპანია ძირითადი საშუალებებსა და სხვადასხვა ტექნიკურ სახარჯ მასალის შესყიდვას ახდენს უცხოელი მომწოდებლებისგან, რაზეც ასევე გაიზარდა ფასები შესაბამის ვალუტაში. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, ვალუტის კურსის დაზღვევა.

ლიკვიდურობის რისკი - არის ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულების რისკი. მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს ლიკვიდურობის რისკის მართვას სხვადასხვა ინსტრუმენტებით, მაგალითად რამოდენიმე სცენარით ბიუჯეტირებით, მათ შორის კრიზისული სცენარებით.

ამირან ცერცვაძე

დირექტორი

18 აგვისტო, 2023